

სიჩინო ქონიძე
ფიხიანი და მისი სანაწარმოები



შავი კონტინენტის მეფეები, რომლებიც უკვე ჩართულები არიან თეთრკანიანებთან მონებით ვაჭრობაში... აფრიკა, რომლისკენაც ყველაზე თავზეხელაღებული ევროპელები მიილტვიან იმისთვის, რომ დაიპყრონ, დაიმონონ იქაურობა და მერე შეიყვარონ იმ სახიფათო, მზრუნველი და ყველაფრის დამანგრეველი ქედმაღლური სიყვარულით.

- ეს ამერიკა არ არის! ეს აფრიკაა მასსა დიკ! - გახსოვთ ყიულ ვერნის „თხუთმეტი წლის კაპიტანი“, გაფუჭებული კომპასი და გზააბნეული ხომალდი, თავისუფალი ამერიკის ნაცვლად, მონებით მოვაჭრე ანგოლის ნაპირებს რომ მიადგა?

მე მახსენდება კიდევ ერთი გეზდაკარგული გემი პროსპერ მერიმეს „ტამანგოდან“, კიდევ ერთი, როგორც თვითონ ეგონა, „ძლევამოსილი“ აფრიკელი მეფე, რომელიც თავად გახადეს მონა, მაგრამ ბედს არ შერიგებია, აჯანყება მოაწყო, მტერს ყელი გამოლადრა და დაეპატრონა ხომალდს, რომლის მართვა არ იცოდა...

ახლა დავფიქრდი და ეს სიუჟეტი მთელი აფრიკის უახლესი ისტორიის ალუზიად შეიძლება გამოდგეს.

ჩემი ცოდნა, არც ამ კონტინენტისა და არც მსოფლიოსი არ არის ღრმა. მსოფლიოს მე დღემდე მხატვრული ნაწარმოებების პრიზმიდან ვუყურებ, რაც სულაც არ არის ცუდი, მაგრამ მივხვდი, რომ მე არ მაქვს ნაკითხული თითქმის არცერთი აფრიკელი ავტორი. მე არ ვიცი მათი ხედვა და ტკივილი, ვინც უმართავ გემზე დარჩა და დღემდე იტანჯება. მე ვიცნობ მხოლოდ იმ თეთრკანიანთა ხედვას, ვინც ამ კონტინენტს მოიხმარდა, იყვარებდა ან იძულებდა. ეს საინტერესო აღმოჩენაა.

რადგან ახალგაზრდობაში ძალიან გატაცებული ვიყავი სათავგადასავლო ლიტერატურით, ყველაზე მეტი აფრიკაზე „თეთრი მონადირეების“ დანერგულ წიგნებში წამიკითხავს.

ეს სრულიად აღმაფრთოვანებელი წიგნები იყო მაშინ და დღეს ძალიან სევდიანად მეჩვენება. ხოლო, საფარში თოფით ხელში ჩასაფრებული თეთრი ადამიანი სწორედ ერთ-ერთი მთავარი კოლონიალური ხატებაა ჩემთვის. ის მამაცი და მიზანსწრაფულია, ძლიერი და ფრთხილი, ქედმაღლურად და მამაშვილურად უყვარს ადგილობრივები, რომლებსაც, დარწმუნებულია, რომ მისმა რასამ და მისმა იმპერიამ მხოლოდ სიკეთე და

წესრიგი მოუტანა, ისინი ვისაც ადრე ეს მთა, ეს მიწა, ეს სავანა თუ ეს ტყე ეკუთვნოდა, ახლა ბუჩქნარში ხმაურით მოერეკებიან მისკენ ნადირს... და კიდევ, როგორც წესი თეთრ მონადირეს გვერდით აუცილებლად ჰყავს ერთგული ადგილობრივი გამყოლი - მასაი, ზულუსი, ბუმბენი... ახლა მონადირეა აქაურობის მეფე, თავისი ერთგული მსახური კი უყვარს, როგორც უგუნური ბავშვი, რომელიც მის გარეშე დაიღუპება, რამე სისულელეს ჩაიდენს...

„მე მოვესწარი ძველი აფრიკის უკანასკნელ დღეებს“ - წერდა თავისი წიგნის ფინალში განთქმული შოტლანდიელი მონადირე ჯონ ჰანტერი და მაშინ, ჩემს ბავშვობაში, ეს ფრაზა ძალიან ლამაზად ჟღერდა ჩემთვის, ან არადა, ჯონ ჰანტერი ის კაცი იყო, რომელიც თავად დაუნდობლად ანადგურებდა იმ ძველ ველურ აფრიკას. საკუთარ წიგნში აღწერილი ერთი ეპიზოდის გამო, როდესაც მონადირე ერთ ღამეში ასზე მეტ ლომს კლავს, განთქმულმა გერმანელმა ზოოლოგმა ბერენჰარდ გრეიმეკმა ბოდიშიც კი მოახდევინა.

- ორი ვისკი, მოლო...

- ახლავე ბვანა...

ეს კიდევ მთლად ერნესტ ჰემინგუეია და მისი „კილიმანჯაროს დათოვლილი მთა“ ან „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“ ან კიდევ სხვა რამ მაგარი, მართლა ნიჭიერზე ნიჭიერი, მაგრამ სრულიად გარომანტიზირებული თეთრი ადამიანის თვალთ დანახული აფრიკა, საკუთარი სიმამაცის და ღირსების გამოცდის ადგილი...

აქვე როგორ არ გამახსენდეს, ჩემთვის ძვირფასი კარენ ბლიქსენი და მისი „აფრიკიდან“ - შავ კონტინენტზე და მის ხალხზე შეყვარებული, ემანსიპირებული და ნატიფი დანელი არისტოკრატი ქალის პრიზმიდან დათვალელებული ადგილობრივი ტომების და მათი ადათ-წესები... სხვათა შორის, კარენ ბლიქსენიც შაშხანით შეირალებული მონადირე იყო. მისი სატრფოც ინგლისელ ინტელექტუალს და მარგინალ ფინჩ ჰატონს აფრიკას სწორედ სპილოს ძვლის მომპოვებლის და ევროპელი გვირგვინოსნებისთვის საფარის მომწყობი „თეთრი მონადირის“ პერსპექტივიდან უყვარდა...

კარენ ბლიქსენი მე მართლა მიყვარს, ქალად მომწონს და ამ გრძნობას ვერაფერს ვუშვები. ერთხელ თავი ვერ შევიკავე და ჩემი აღფრთოვანება გავუზიარე ერთ დანიელ პროფესორს, რომელიც კოპენჰაგენის

უნივერსტეტის აფრიკულ კათედრაზე მუშაობს. დაიჯლანა და ზედმეტად რომანტიულიაო, მითხრა. იქვე ჩამომინერა, თანამედროვე აფრიკელი მწერლების და მათი საუკეთესო რომანების სია, რომელთა ნაწილი მალევე მოვიძიე და ჩემ ქინდლში ჩავწერე, მაგრამ რატომღაც არცერთი არ წამიკითხავს.

კოპენჰაგენელი პროფესორი კი საქართველოში ნატურალისტად იყო ჩამოსული. მთელ მსოფლიოში დადის იშვიათი ფრინველების სანახავად და სალამობით ეთიოპიაში თავის უკანასკნელ მოგზაურობაზე მიაბობდა და იმაზე, თუ როგორ ნახა უიშვიათესი ფრინველი, მხოლოდ სამხრეთ ეთიოპიაში გავრცელებული რუსპოლის ტურაკო (თაურაცო ღუსპოლიი), თურმე სუბტროპიკული ტყე, სადაც ეს ფრინველია გავრცელებული სავსე იყო ადგილობრივებით, რომლებიც დურბინდებით შეიარაღებულ ევროპელებს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ფრინველის პოვნაში დახმარებას სთავაზობდნენ, ოღონდ იმდენი ლატაკი იყო დახმარებას მოწადინებული და ისე ხმაურობდნენ, რომ დახმარების ნაცვლად, ფრინველის მაძიებლებს ხელს უფრო უშლიდნენ.

და მისი ნაამბობი ისევე ძალიან წააგავდა თეთრი ადამიანის ნადირობას... მერე პროფესორმა მიაბო, რომ საოცარი ფრინველი იტალიელი პრინციის ეუგენიო რუსპოლის აღმოჩენილი ყოფილა. თავის სანადირო ექსპედიციისას პირელმა მან აღწერა ეს მანამდე უცნობი სახეობა და მალევე დაიღუპა მის მიერ დაჭრილი სპილოს ეშვებით. თბილისში დაბრუნებულმა ინტერნეტში მაშინვე მოვძებნე პრინცი რუსპოლი, რომელიც 1891-1893 წლების საბედისწერო მოგზაურობისას თავის ხალხთან ერთად დაუნდობლად ხოცავდა აფრიკელებს და ძარცვავდა მათ სოფლებს. ვიკიპედიაში მისი ფოტოც იყო. შტუცერით შეიარაღებული და პატრონტაჟგადაკიდებული უღვაშებდნენ კეპილი პრინცი ცოტა კომიკურად კი გამოიყურებოდა, მაგრამ მათთვის ვისაც ხოცავდა და არბევდა, ეს კომიკურობა დიდი ვერაფერი ნუგეში იქნებოდა.

ფრინველის დასახელებაში კი დარჩა მისი სახელი... და კიდევ ორ ქუჩას ჰქვია, ერთს გენუაში და მეორეს პადუაში.

ჰოდა, არის ერთი წიგნი, სრულიად გადასარევი და გიჟური, უიმედო და ტრაგიკული, რომელსაც ჩემი ნაცნობი კოპენჰაგენელი პროფესორიც კი აკითხებს თავის სტუდენტებს, იმისთვის რომ დღევანდელი აფრიკა გააგებინოს, მიუხედავად იმისა, რომ „წყვიდადის გული“ საუკუნეზე

მეტის წინ დაწერა პოლონური წარმოშობის ინგლისელმა ჯოზეფ კონრადმა. ეს წიგნიც მეფეზეა, თეთრ მეფეზე, სხვანაირად კი უბრალო კლერკზე, რომელიც შავი კონტინენტის ყველაზე უღრან და უდაბურ ადგილას მარტოდმარტო მიავლინეს კომპანიისთვის სპილოს ძვლის შესაგროვებლად და მანაც მიოპოვა ძალაუფლება აბორიგენებზე, მათი ჭეშმარიტი ბელადი შეიქმნა, ოღონდ კურცის ამბავი სრულიად განსხვავდება თეთრი ადამინის მიერ დაწერილი ნებისმიერი აფრიკული წიგნისგან. აქ რომანტიზმის ნასახიც არ არის, ეს საკუთარ ველურ ინსტინქტებს დამორჩილებული ადამინის მორალური და ფიზიკური ნგრევის ისტორიაა.

ვინ იცის, იქნებ კეთილშობილმა იტალიელმა არისტოკრატმაც იგივე ნგრევა განიცადა, იქნებ კონრადის პერსონაჟის მსგავსად იქაურმა უღრანმა მასზეც იძია შური და „ჩურჩულით მოუყვა საკუთარ თავზე ის, რაც თავად არ იცოდა, ეს მომაჯადოვებელი ჩურჩული ყრუ ექოდ ესმოდა საკუთარი თავის შიგნით, რადგან მის სიღმეში არ იყო არაფერი...“